


მედიკალური  
ზინოპოლიტიკა

38/3  
15/11

# თეატრი სხოვნება



ათავცრთ სალიცრაცრთ აქერნალი

17



მოდრავი დასი ქიზიუში

98/1  
1914



1. საკუთარი სახიერება, შეთაჲრა 1
2. სათეატრო შენიშენები, აქილეისა 2
3. რას უქადის ხელოვნებას მომავალი, 3
- აღ. წერეთლისა 2
4. \* \* (ლექსი) ა. შანშაშვილისა 3
5. ბუნების კანონი, ესკიზი მ. ლომიძისა 3
6. ლაღო აღნიაშვილი (გაგრძელება), 4
- აღ. შირაძისა 4
7. აგარაკე, აღ. ციციშვილისა 5
8. ილია ჭავჭავაძე, მ. გედევანიშვილის 6
- გამოცემა 1914 წ. ვახ. კატეტი- 6
- შვილისა 6
9. ჩემო სამშობლო! იღ. ბახტაძისა 7
10. შემოდგოა თბილისში, ლექსი 8
- ი. გრიშაშვილისა 8
11. მოგონება, ლექსი მთის ნაივისა 9
12. კომპოზიტორ დ. არაყიშვილის თხზუ- 9
- ლებანი, გ. სუჯაველისა 9
13. ცხოვრება (გაგრძელება), ს. გლახა- 11
- შვილისა 11
14. ჩემი ნატურა, ლექსი იუსა ზარდა- 12
- ღაშვილისა 12
15. ქართული სახალხო თეატრის ისტო- 14
- რია, (გაგრძელება) გ. ჯაბაურისა 14
16. პროვინციის სცენა საგარეჯო, — 11
- Mertalis-ა 11
17. წერილი ამბები 15
- სურათები; განცხადებანი. 15

საზოგადოებრივი საქმიანობის  
 თბილისის ქართულ დრამატულ საზოგადოების  
 დღების გამგეობა აცხადებს, რომ მას განზრახული აქვს  
 თეატრთან მოაწუოს სპეცია-

ლისტების ხელმძღვანელობა

# სამეცნიერო პრაქტიკული სემინარი

ამიტომ იგი იწვევს ქალთა და ვაჟთა, რომელთაც ქართულ სცენაზე მუშაობის სურვილი აქვთ, ჩაეწერნენ ამ თავითვე გამგეობის კონტორაში. ჩაწერის ვალა დანიშნულია განცხადების დღიდან ბარველ სექტემბრამდე. სწავლა უფასოა. ბირობების გაგება შეიძლება კონტორაში დღისით 1—3 საათამდე. წერილობითი განცხადება მისამართის ჩვენებით წარმოდგენილ უნდა იქნეს. საზ. კონტორაში.

## შექსპირი ქართულად!

გამოცემა **ივანე მაჩაბლის** თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე **შექსპირის** რვა ტრაგედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიოს კესარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იწინება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადრიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა, — მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადალ: პირველი შემოსატანი — 1 მან, მეორე — პირველ ნომერს — 1 მან. და მესამე — 1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება თბილისში: ქართ. შორის წერაკითხვის საზოგადოების გამაგრცელებელ მალაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) „თეატრის და ცხოვრების“ რედაქციაში (ქართ. თეატრში) და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მალაზიებში.

გამომცემელი კნ. ანასტასია აღექსანდრეს ასული მაჩაბლისა.



წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქართ. საზ. კანტორაში და „სორაპან“-ს სტამბაში. მისამართი: Тифლისь, Грузинский Театръ, ред. „Театри და Цხენებრა“ Имедашვილი

№ 27

წ. 11

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტორაში — დილით 9—2 ს., საღამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-9. სტამბისა — 15-41.

№ 27

ქ ვ ი რ ა 7 მ ე კ ე ნ ი ს თ ვ ა

1914 წ.

### 7 მ ე კ ე ნ ი ს თ ვ ა .

**საკუთარი სახიერება** ჩვენ ვიცნობთ ყველას საკუთარი თავის გარდა, ვესარჩლებით ყველას საკუთარ მოძმე-გლეხთა გარდა, ვგოდებთ ყველას ჭირ-ვაებაზე საკუთარის გარდა. ვბჭობთ სხვათა ცხოვრების მოწესრიგებაზე, საკუთარის გარდა... დავკარგეთ საკუთარი სახიერება, თვითაზროვნება, საკუთარი ალღოიანობა.. მსოფლიო საკითხები, ცხრა-მთას იქითელთა ავკარგი უფრო გვაფიქრებს, ვიდრე საკუთარი... არ ვუწყით საკუთარი წყლული, საჭიროება, არ ვუწყით და არც გვინდა ვიცოდეთ... აზრ-გაორკოფებულნი, დედამიწას მოწყვეტილნი და ვერც ცამდე მისულნი, ცა-დედამიწის შორის ჰაერში ვართ გამოკიდულნი...

კაცობრიობის ცხოვრებაში დგება ხოლმე ისეთი წუთი, როდესაც ერთი მიწა-წყლის შვილნი, ერთი გვარ-ტომის შთამომავალნი, ხშირად სარწმუნოება-რწმენით განსხვავებულნი, ყოველგვარ განხეთქილებას ივიწყებენ.

## სათეატრო შენიშვნები


ქართული თეატრის მდგომარეობა ისეთია, რომ ის კიდევ საჭიროებს მ-ს სასარგებლოდ ხალხში აგიტაციის გაწევას. ხალხს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, კიდევ არა აქვს თეატრის დიდი მნიშვნელობა სავსებით შეგნებული. შეიძლება ამ ხალხიდან ძალიან ცოტა რიცხვი დადიოდეს თეატრში, მაგრამ მათაც თეატრი წარმოდგენილი აქვსთ არა ცხოვრების სარკედ და მოზრდილ ხალხის სკოლად, არამედ გამართობელ-გამამხიარულებელ დაწესებულებად. ის თეატრში დადის

ბენ, კაბინეთურ მრავალსიტყვაობას, ცხოვრებასთან შეუთანხმებელ სჯა-კამათს გვერდს უხვევენ და ერთის აზრით აღფრთოვანებულნი გადიან თვითარსებობის დასაცავად, ანუ თვის სულიერ-ნივთიერ სიძლიერის განსამტკიცებლად... ეს წუთია ხალხის დიაღობის უმაღლესი ხანა და თავდები მისი უკეთესი მომავალისა... ნუ თუ ჩვენ არ მოგვეპოება ერთი ისეთი საგანი, საერთო მიზანი, რომლის გარეშემო მაინც შეგვეძლოს შეგგუფება, გაერთსულოვანება, ერთის აზრით აღფრთოვანება?! მსოფლიო ტრაპეზზე კი მხოლოდ იგია მისაშვები, ვისაც საკუთარი სახიერება აქვს... და ვისაც თავისი თავი ჯერ კიდევ ვერ უცვნია — ვაი მისი ბრალი!..

ჩვენი საერთო წყლული, იარები, ჩვენი დაქსაქსულობა სამშობლო სცენამ მაინც გვიჩვენოს და ჩვენსავე გულში ჩავვახედოს, — კითხვა მაინც დაგვიყენოს: რანი ვართ, რანი უნდა ვიყვნეთ და სადაა ჩვენი საკუთარი სახიერება?!

დრო-გამოშვებით და არა სისტემატიურად, მას თეატრში სიარული მოთხოვნილებად არა აქვს გადაქცეული. აღსანიშნავია, რომ ქართველ ინტელიგენციას ასეთი უმნიშვნელო საქმეც კი ვერ გაუკეთებია, მაშინ, როდესაც მისგან ცარიელ სიტყვების ხმარებამ ქვეყანა გააყრუა.

ხალხში თეატრის დიდი მნიშვნელობის შესატანად დიდი მნიშვნელობა აქვს მსახიობისა თუ დრამატიულ საზოგადოების იუბილეს იუბილეს გარდა მსახიობის შრომის და-



ფასებას თეატრის სასარგებლო სააგიტაციო ხასიათიც აქვს. თეატრში შეკრებილ ხალხს იუბილეს დროს ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს თეატრს, თუ რა სარგებლობა მოუტანა მან საზოგადოებას და სხ. ამგვარ მისიას ასრულებს იუბილე, თუ ამ იუბილეში ხალხი ღებულობს მონაწილეობას. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ იუბილეებს დროს მდამიო ხალხს, დემოკრატიულ ნაწილს საზოგადოებისას ნაკლებად ვხედავთ, იუბილეების დროს თეატრში შესასვლელ აწეულ ფასების გამო. მას უმთავრესად ბობოლა ინტელიგენტები ესწრებიან. მომავალში მაინც ვეცადოთ საიუბილეო წარმოდგენებს თუ საღამოებს ხალხი დავასწროთ. მაშინ იუბილეებს ქართული თეატრისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება.

წელს ქუთაისისა და თბილისის დრამატიულ საზოგადოებათ შმართებთ ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულის გადახდა თბილისის დრამატიულ საზოგადოების არსებობიდან 35 წელიწადი სრულდება წელს, ხოლო რაც ქუთაისში დრამატიული დაი შესდგა 30 წელიწადი. ქართული თეატრის ეს ორივე ხანა საყურადღებო ხანაა და ამ ხანის წლის თავი უნდა აღინიშნოს კიდევ. ამ დღესასწაულების დროს ჩვეულებრივ უსარგებლო ზნე-ჩვეულებას თავი დავანებოთ, შაბლონებს ავერიდოთ და ამ დღესასწაულით ერთგვარი დემონსტრაცია მოვახდინოთ ქართული თეატრის სასარგებლოდ. საქმეს დრამატიული საზოგადოებანი თუ დასნი აქედანვე უნდა შეუდგენ, თორემ წელს არც კი მოესწრება. ამ დღესასწაულისათვის უნდა დაიწეროს ვრცელი ისტორია დრ. საზოგადოებისა და დასის მოღვაწეობისა, უნდა გამოიკვს სააგიტაციო შინაარსის პატარ-პატარა წიგნაკები და სხვა. ყოველივე ეს შრომა არც მთლად უმნიშვნელო დროს თხოულობს და აპიტომ ახლავე უნდა განაწილდეს. სასურველია დრ. საზოგადოებანი ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად კრებას ამ თვეშივე მოიწვევდენ. საქმე დაყოფნებას არ იწყნარებს.


აქილესი



# რას უკადის ხალოვნაგას მოგავსალო

რომ ხელფანებისათვის საჭიროა ჭეიოთსი, რომელიც შეიქმნების ანა ცოდნის შექნით და ნებისყოფით, ანამედ ერთგვარ თანდაყოლილ მწარმოებელ ინსტინქტის მეხეებით, რომ ხელფანი უმეტეს ნაწილად ფვისდა შეეგნებალად ჭქმნის დიდებულ ნაწარმოებთ, ყოველივე ეს, ვგონებ, ტრუიზმია. ამ შემთხვევაში შეუძლია ვისმეს შემდეგი კითხვით მოგვმართოს: თუ ხელფანებს ერთგვარი უმადლესი ინსტინქტის თავისებური განვითარება, გონების კათეგორიაში გადასვლით რომ უნდა მოისწოს იგი? მაგრამ ხვეწ შეგვიძლია ვუზასუხოთ, რა ეს ინსტინქტი და თვითანსი შემოქმედება შეუძლებელია ოდესმე მოისწოს, რადგან ხელფანებს მით განსხვავდება მეცნიერებისაგან, რომ იგი თავისებურად ააშკარავებს თვის უმთავრეს საჯანს — დამატევევებელ სახით ცხოვრების დასურათებისას და ააშკარავებს მას ანა აზროვნებისა, ანალიზისა და დანაწილების შემწეობით, ანამედ თვისი განსაკუთრებითა, მხოლოდ მსატვარ-შემოქმედებისთვის ცნობილი გზით. თვით მეცნიერებაშიაც კი დიდი ადვილი უჭირავს შემოქმედებითი ინსტინქტს, იმ „შინაგან თვალსა, ადამიანის გონებას რომ სსწავლთ ადენიებს. ხოლო ჭეიოთსები მეშვეი-დრეობით იბადებიან ასეთად და შინაგანი სმა უკვე დაბადებიან მიიწვევს მათ მისჯილ ხვედრისაგან.

რომ ხელფანის წარმოდგენამ და ჭეიოთსმა შემოქმედებამ რამე შექმნას, საჭიროა, იგი წრთელი გრძნობით იევეს შეეუღლი, მაგრამ ეგებ მეცნიერული ანალიზი სწობდეს სათავეში ყოველგვარ გრძნობას, როგორც ამას ჭეიოთსებენ ხელფანების მამაჟღის უარისყოფელნი. ამის სანასუხად გიუოს გრძნობათა ევოლუციის აქვს ანიშნული თვის შრომაში: პირველად ადამიანისათვის გრძნობანი შეუტნობელი იყო და მხოლოდ ნურკების რეფლექსიურ მოძრაობას იწვევდა; შემდეგ იგინი შეცნობილ იქმენ; დღეს გრძნობანი დგოთისა, ბუნებისა და ადამიანთადმი უკვე რაციონალურ და ფილოსოფიურ სსსიათისა არიან; თან და თან ახლა ვეცნობით ბუნებას და მგოსანიც საუცხოვოდ სწვდება თვისი გრძნობებით ბუნების საიდუმლოს; „მე შესმის ის, რაც ორფეოსს მხოლოდ ელანდებოდა“, ამბობს გიუო.



საუურადღებოა გიუყნ მიერ სიყვარულის ეკლუციის გადმოცემა: ძველ დროს სიყვარულს უმეტესად გრძობადი ხასიათი ქქონდა; ქალში სქესსა და სილამაზეს ამხნევენ; საშუალო საუკუნეებში სიყვარული მისტიკურ ელფერს იღებს და რაღაც განსაკუთრებითი სიტუაციითა და სარწმუნოებრივი მადლით იმასება; ჩვენს დროში კი სიყვარული გადრეზდა და ტანჯვითა ხასიათი მიიღო; იგი აივსო ფილასოფიურ ელემენტებით და მასში თავი იჩინა იმ უსახდვრო ძიებამ, რომლითაც მოცულია ჩვენი საცოცხლე რაც შეეხება საერთოდ გრძობათა ცხოვრებას, როგორც არ უნდა იქმნეს მისი ხვედრი, მას მარადის ადგილი ექმნება ხელაქნებაშია.

თვით მეცნიერების განვითარებაშიაც უდრესი ადგილი ეკუთვნის გრძობას აზროვნებითი პროცესით დატკობისას და თუ დავსმე ამ პროცესმა დაჭკარვა თვისი თვისება — უსახდვრო სიამოვნების მინიჭებისა, მაშინ თვით მეცნიერებაც მოისპობა.

ალ. წერეთელი




\* \* \*

მყუდროების შავს ტალღებზე  
შავის ნავით მივსცურავდი;  
ძაბა მერტყა შავად მხრებზე,  
შავის ცრემლით მოვამავდი.

ნიჩბის მოსპით ტალღა თრთოდა,  
როგორც თრთოდა გულში დარდი;  
ნელი ჩქეფა მე მამცნობდა  
ერთხმოვანად: წა, აჩქარდი!

წინ ვილტოდი, ვით მქროლავი,  
არნახულის ნახვა მსურდა;  
ახ, არ ვიცი ჩემი ნავი  
ზღვაზე რით ვერ გადასცურდა!!

მ. მანიაშვილი



ბუნების კანონი

ოდესაც დილით დიადმა მზემ მოლურჯ, მოღრუბლულ მთებიდან სიყვარულის თვალით გადმოჰხედა სპეტაკ მყინვარს, მყინვარს, ვით ქალწულს, შერცხვა პირველი სიყვარულისა, ანთო და წამოწითლდა; ღოღო როდესაც მზემ უხვად დაამხვებია მას ოქროს სხივნი და კოცნა უძღვნა, კოცნა მხურვალი, მაშინ მზის სხივთა კოცნით დამდნარი თრთოლვით მოვსწყდი მყინვარის ფრიალოს და ათასფერად მოციმციმ-მობრტყვიანე დავგორდი ქვევით. იქ შევუერთდი ჩემს ამხანაგთ, ჩემებრ მოციმციმეთ, შეუთვისდი, ჩუხჩუხ-ხტუნაობით ჩამოვიარე მთის წვანით და ბუჩქნარით დაფენილი ფერდონი...

ენძელას გვერდით, ბუჩქნარის ძირას ნაზ იას შევხდი...

ვემთხვიე ფერხთ, ვეამბორე; აღარ მინდოდა მის დაშორება, მაგრამ უხილავი ძალა მიმჩუხჩუხებდა ქვევით, ხოლო უკან მრჩებოდა ყოველივე კარგი, ყოველივე სპეტაკი...

წავიცრემლე იის სიყვარულით მოხიბლული .. და მესმა ხმა მკაცრი: „მთის წყარო ხარ, ირბინე, იჩუხჩუხე, ზღვის კიდემდი! ასეთია კანონი ბუნებისა!“

\* \* \*


ოდესაც მოციმციმე დილის ნამი წითელ, ხაჩხაჩა ვარდს გულს ჩაჰკროდა და უსიტყოდ სიყვარულს უმჯღავებდა, მაშინ მზემ ცხოველ სხივებით მისუსტა ნამი, უკანასკნელად ააბრტყვილა, ასწვა ააორთქლა და ორთქლად ანადენი შეუერთდა ლურჯ ცაზე მოხეტიალე ობოლ ნისლ-ღრუბელს.

ნაშს ეძნელებოდა ვარდის გულ-მკერდის მიტოვება, ხვეწნა-ვედრებით დადნა, დამციბდა მკაცრ ბუნების წინაშე, მაგრამ მაინც თვისდაუნებურად დაშორდა ვარდს.

და ისმა ხმა მკაცრი: „დილის ნამო, აიორთქლე, იხეტიალე შავს ღრუბლებამდე... ასეთია კანონი ბუნებისა!“

\* \* \*

ოდესაც ბრძოლის ველზე გულდაკოდილი, მომაკვდავი მეომარი შესთხოვდა, შეჰლაღადებდა სალამოს ჩამავალ მზეს, რათა ერთი წუთით, ერთი წუთით მაინც გვიან



ჩასულიყო იგი, რათა უკანასკნელად გამძღა-  
რიყო მზის ცქერით, მზე მშვიდათ ჩაეშვა  
მთას იქით და კანკალ-ცახცახით ცრს წიაღს  
მოსწყვიტა უკანასკნელი იმედის სხივი...

და ისმა ხმა მკაცრი: „მეომარო, ჩაკვდი!  
შეუწყნარებელია ჩემ მიერ მომაკვდავის  
უკანასკნელი თხოვნაც კი!

ასეთია კანონი ბუნების!“

\* \* \*

ოდესაც მყინვარს საღამოს ჩამავალი  
მზე გამომშვიდებისას თრთოლვარე სხივები  
უკოცნიდა შუბლს, სიმბოლოს სისპეტაკისას  
და უცოდველობისას, მყინვარს ეძნელებოდა  
მზის სხივთა კოცნის დათმობა და შეჭლადებ-  
და ცას, რათა ერთი წუთიც ეჩუქებინა მათ  
საბედნიეროდ...

მაგრამ ბუნება სდუმდა

მყინვარმა ვერ მოითმინა სურვილის და-  
უკმაყოფილებლობა პირი იქუშა, დღეობის  
ივრგვინა, იქეჭა, ამოიოხრა, აღმოჰხეთქა გუ-  
ლის ნაღველი ცეცხლ-ნაცარ-ტუტის მსგავსად  
და ცის წიაღში ატყორცნილ-აღმართული  
ცეცხლ-ღრუბლის ბოძი მზის მომაკვდავ სხი-  
ვებში აათამაშა.

მთის ფერღოზე ყველ ფერი იწოდა,  
მსხვრეოდა. ნადირი, ხალხი უბედურებას  
„გაუბრბოდა ..

დღიურის ჯაფით გაწითლებული მზე კი  
მშვიდათ ესვენებოდა ზღვას იქით. და მოისმა  
ხმა მკაცრი: „მყინვარო, შენი გრგვინვა-ქ-  
ხილიც ვერ შეაფერხებს მნათობთ გზა-კვალს!...

მიწა მაინც ბრუნავს... მზე მაინც ჩავა!  
ასეთია კანონი ბუნების!“

მინ. ლომიძე

## ლადო აღნიაშვილი


(იხ. „თ. და ც.“ № 25-26)

ლადო აღნიაშვილმა შეადგინა და გაოს-  
ცა რჩეულ სიტყვათა ქართული „უბის ლექ-  
სიკონი“. იგი იყო ერთი უახლოესი სულის  
ჩაძღმელი და დამაარსებელი „ქართულ წიგ-  
ნების გამომცემელთა ამხანაგობის“. 90-იან  
წლებში სოფელსაც მიხედა (საგარეჯოს მამა-  
სახლისად). მან საკუთარს ინიციატივით თბი-  
ლისში დაარსა და ერთ დროს აწარმოვა სა-  
ნოვაგის და უსაქიროეს საქონლის გაიაფების  
მიზნით ქართული საამხანაგო საეაქრო სახლი,  
სახელად „შუამავალი“.

მაგრამ ყველა მის ნამოქმედარს თავისის  
მნიშვნელობათ და სიფარჯოვით სქარბობს  
ორი მისი უდიდესი საქმე: პირველია—ქართ-  
ველ-მომღერალთა მუდმივ გუნდის შექმნა  
და მისი მტკიცე ნიადაგზე დაყენება, მეორე—  
სპარსეთში მოგზაურობა და იქ ქართველთა  
სოფლების აღმოჩენა და მათი აღწერა.

როგორც პირველის, ისე მეორე საგ-  
ნის შესახებ ქართულ პრესაში თავის დროზე  
ბევრი დაწერილა. ვიტყვი მხოლოდ, რომ  
მარტო ფანატიკოსს თუ შეუძლიან არ და-  
ზოგოს ის დაუშრეტელი ენერგია, დაუსვენ-  
ებელი შრომა, აუარებელი ხარჯი, რაც  
განსვენებულია მოანდომა მომღერალთა გუნ-

დის დაარსებას. გუნდისთვის საჭირო იყო  
ნოტებზე გადაღებული ქართული სიმღერე-  
ბი, ნოტებისთვის საჭირო იყო მუსიკის მკოდ-  
ნე პირები. ლადომ გამოძებნა ერთიცა და  
მეორეც. თავისს სამშობლო სოფელ შილდი-  
დან ჩამოჰყავდა შესანიშნავი მომღერალი  
გლეხები, ხუთი-ექვსი ერთად, აბინავებდა  
სასტუმროებში, აქმევ-ასმევდა, აძლევდა საგ-  
ზაო ფულს, თვიურ ანუ კვირეულ ჯამაგიჩს;  
ამღერებდა ამათ და მათი ნამღერალის ნო-  
ტებზე გადასაღებად იწვევდა ხან ოპერის არ-  
ტისტს და გალობის მასწავლებელს რატილს,  
აწ განსვენებულს ვიოლონჩელისტს და მემუსი-  
კეს სარაჯიშვილს და ხან. სხვას. რასაკვირვე-  
ლია, ამ უკანასკნელთაც შრომისთვის აძლევ-  
და ჯეროვან სასყიდელს. უიმისოდაც მცირე  
ჯამაგირის პატრონს ხშირად ისე გამოეღეო-  
და ხოლმე ფული, რომ პაპიროსის სყიდვაც  
აღარ შეეძლო. იუ ამას დაურთავთ იმასაც,  
რომ ამავე დროს სხვა გაჭირვებულთაც—  
გიმნაზიელებს, სტუდენტებს, ქართველ არტის-  
ტებს და სხვ. დაუზოგავად უმართავდა ხელს,  
ადვილად წარმოვიდგენთ, რამოდენა ნივთიე-  
რი შევიწროვება და გაჭირვება გამოუვლია  
ლადოს თავის მოკლე სიცოცხლეში. მერე  
ვის გაუგია ამაზე მისი დაჩივლება? არავის.



უქირდა თუ არ უქირდა, ჰქონდა თუ არა ჰქონდა, ლადო მუდამ მხიარული, მუდამ მომღიმარე, მუდამ ოპტიმისტურ გუნებაზე იყო, მუდამ ახალ-ახალ სამოქმედო გეგმებს და პროგრამებს აჰსთხზავდა.

სათავად-აზნაურო სკოლაში მე და ლადომ სულ ორი წელიწადი დავყავით. ამის შემდეგ ის გადავიდა მასწავლებლადვე ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში, მე დავბრუნდი ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში. კათოლიკების სკოლიდან ილია ჭავჭავაძის დახმარებით ლადომ იშოვა სამსახური თბილისის ქართულ სათავად-აზნაურო ბანკში. ამ ადგილების გაცვლა-გაოცვლის დროს არც ერთ დღეს მას არ მიუტოვებია ლიტერატურული შრომა და, სხვათა შორის, ჟურნალ „ჯეჯილისთვის“ სწერდა ბუნების მეტყველებიდან პატარ პატარა წერილებს.

სპარსეთში მოგზაურობაზე ლადო აღნიშნული დიდი ხანია ოცნებობდა. ამ მოგზაურობის მიზნად მას დასახული ჰქონდა პოვნა, საკუთარს თვალთ ნახვა და აღწერა იმ ქართველებისა, რომლებზედაც, გარდა ჩვენი ისტორიის მოწმობისა, ხშირად ჩამოვარდებოდა ხოლმე საუბარი როგორც რუსულს, აგრედვე სხვა ევროპულ პერიოდულ გამოცემებში.

ბოლოს, აგვისტოს 1894 წ., ლადომ ეს ოცნებაც სისრულეში მოაყვანა. სულ რაღაცათის თუმნით (ისიც საკუთარს ნივთების გა-

ყიდვით შეძენილი), იგი სწორედ ამერიკელის გაბედულებით, ნათესავების გამოხმობა-ვეზლად, მოულოდნელად წავიდა სპარსეთისაკენ. რა შედეგი მოჰყვა ამ მოგზაურობას, ქართველმა საზოგადოებამ კარგად უწყის, ნამეტნავად ვისაც გადუკითხავს ლადოს მშვენიერი წიგნი: „სპარსეთი და აქაური ქართველები“. საუბედუროდ, ხელმოკლეობის გამო ეს წიგნი ლადომ ვერ დაამშვენა იმ აუარებელი სურათებით, რომლებიც ამ განზრახვით სპარსეთიდან ჩამოიტანა (ეს სურათები ახლა ნე მაქვს). იგი ანუგეშებდა თავის თავს იმით, რომ მეორე გამოცემისთვის „გველის ხვრელში“ გავძვრები და სურათებს უეჭველად მოვათავსებ წიგნშიო“.

მაგრამ მისი ბედის ჩარხი სხვანაირად დატრიალდა: ბევრი ხანი არ გასულა ამ მოგზაურობის აღწერის შემდეგ, რომ ლადოს ქუჩიდან შერყევის ნიშნები აღმოაჩნდა. თანდათან შერყევამ იმ ზომამდე მიიღწია, რომ ნათესავები იძულებულნი შეიქმნენ იგი თბილისის მიხეილის საავადმყოფოს პსიხიატრიულ განყოფილებაში მოეთავსებინათ. აქ მან იავადა ოთხ წლამდე და 1904 წ. აპრილის თვეში, შობიდან 44 წლისა, სრულიად გამოესალმა წუთისოფელს.

შემდეგ ნომერში მოვიყვან ლადო აღნიშნულის წერილს, სპარსეთიდან მოწერილს.

**ალ. მირიანაშვილი**

## ა ბ ა რ ა კ ზ ე

I  
სალამოს ნიავემა ფიქვ-ნაძენარს ჩურჩულით ჩამოურბინა; სასეირნოდ გამოფენილ ხალხს მიუალერსა და ფერადი ლეჩაქები ოდნავ შეათამაშა.

მისი წითელი ლეჩაქიც ლივლივებდა მზის აკეცილ სხივებში და ჯადო-ლოცვას უგალობდა გაქვავებულ ქაბუკს ქალი მოტრიალდა; თვალები შეხვდენ. ო, რა იგრძნო ქაბუკმა ამ ბობოქარ ზღვა - თვალებში: სამოთხის აღმა შეიპყრო.

წითელ ფრთიანი თეთრი პეპელა იმ სალამოს ყველგან ერჩეოდა, ქაბუკი მარტო მას დაეძებდა, მას ხედავდა, მაგრამ თვალები აღარ შეხვდენ ...

ქაბუკი ლამის მატარებელს გაჰყვა.

### II

აღარ უნახავს ქაბუკს წითელ-ფრთიანი პეპელა. დრომ სიზმარივით გაიარა და ქაბუკი დაბერდა. მოხუცს ცოლიც ჰყავს, შვილებიც...

### III

გარედ თოვს, ბუქავს; სიცივეა, სიცივე... თბილ ბუხარს მისხდომია მთელი ოჯახი. თეთრწვერა მამაც აქ ხის; ძველ ქალაღდებს ათვალიერებს, თავის წარსულს კითხულობს... უბის წიგნები, წერილები...

ჩუ! რამ გააშეშა მოხუცი! გაშტერებული მისჩერებია ცოლ-შვილს.

— ეს როგორაა? რატოა ასე? — ხრინ-  
წიანი ხმით წამოიძახა და სული შეეხუთა.

— რათ?.. რათ?.. — ლულულულებდა პირ-  
ქვე დამხობილი.

აწრიალდა ოჯახი...

უბის წიგნის გადაშლილ გვერდზე წაიკი-

თხეს: „21 ივლისი, დღეს ჩემი მზე ამობრწყინ-  
და: წითელი ფრთებით მორთული ლულულუ-  
პებელაა იგი. მე ვნახე ჩემი ღმერთი, ჩემი  
სალოცავი, ჩემი მზე.“

— სადაა ის, სად? — ლულულულებდა მო-  
ხუცი. **ალ. ცირეკი**

## ილია ჭავჭავაძე

### მ. გედევანიშვილის გამოცემა 1914 წ.

ქართულები უკიდურესობის ხაზზე ვართ: თუ დაიბადა რაიმე აზრი, ავანთებით, ადვილ-  
ზნებით, ჩვენს ეკსალტაციას არა აქვს საზღვა-  
რი. მაგრამ ისევე მალე მოვდუნდებით, მივუყუ-  
დებით, და მხოლოდ დუმილით-და ვმეტყვე-  
ლებთ. ადარე ხალისი, ადარე ენერჯიის სიცხ-  
ველე. ეს ჩვენი ცხოვრების ანონიმალური მდგო-  
მარეობის ბრალია. ჩვენი ფსიხიკა ისეა მოდუ-  
ნებული, რომ დიდხანს ვერ უძლებთ ადრთო-  
ვანებას. ხალისს, ასე გვიხდება თითქმის ყოველ-  
თვის, ასე დაგვემართა როდესაც დაიბადა აზრი  
ი. ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემი-  
სა. რამდენი ადტაცება, რამდენი ღამაზი და  
მსკეპარე სიტყვები... და კიდევ მადლობა ღმერთს  
და ბ-ნ მის. გედევანიშვილის შეცადინებებს,  
რომ საქმე ქართულად არ დამთავრდა. მაგრამ  
რა? გამოვიდა ეს იშვიათი გამოცემა, და თით-  
ქმის არც კი შეგვიმხეგია... დაუდგრობა გამო-  
ვიჩინეთ. არც ერთმა გაზეთმა, თუ არ ყრდები,  
არ აღნიშნა დიხსება—ნაკლი ამ გამოცემისა;  
მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ გამოვიდა ესა და  
ეს წიგნი, და აქა და აქ შეიძლება მისი მიღე-  
ბა. თუ შეხსიერება არა მდლადტობს, ერთი  
პატარა შენიშვნა „თემში“ იყო მოთავსებული,  
და დასკვლების გაზეთში-კი დიდი აღიარებით  
ბ. გრ. უიფშიძის მიერ დაწერილი ი. ჭავჭავაძის  
ბიოგრაფიის მიერ გამოწვეული. ეს იყო და ეს.  
არც ილუსტრაციის დაფსება, არც შრიფტის,  
არც მასაღის დაფსების, არც ქაღალდის და სხ...  
უნდა აღნიშნათ-კი, რომ ამნაირი ძვირფასი გა-  
მომცემა რიცხვით შედრება: ერთი იყო გ. ქარ-  
თულიშვილის „უგუხის ტუარსანი“, მეორე ეს.  
ამნაირი გამოცემა ალაპარაკებდა ჩვენზე მდი-  
დარ ქვეყნებს, სადაც ამგვარი გამოცემისი ძა-  
ლიან ხშირი მოვლენაა, ჩვენში კი... ისე ვსდუმთ,  
თითქმის ეს ყოველდღიური მოვლენა არის.

აი, მაგ. რუსეთში, ისე არ გამოიცემა პროფ-  
ვებგეროვის მიერ დაიდ მწერალთა ნაწერები  
(შექსპირის, ბაირონის, შილდერის, ზუშკინი-  
სა და სხ.), რომ საზოგადოება შესაფერად  
არ ააღაპარავს. და ეს ასეც უნდა იყოს: გა-  
მომცემელი ჭხანჯავს ამოტენა ენერჯიას, დროს,  
და ელის საზოგადოებისაგან სიტყვას დასაფსე-  
ბელს. როგორც ვსწერთ, საზოგადოება-ჩვენში  
ცივად შეჭსვდა ილ. ჭავჭავაძის ძვირფას გამო-  
ცემას, ბ. მისეილ გედევანიშვილი — კი ღოდინმა  
დაჭდალა— ვინ რას იტყვისო — გამოცემის საქმე  
განვარდო, თუ არა? აი, ამ საზოგადო დუმი-  
ლის დროს, მსურს გამოვივასსო პატრივტემულ  
საზოგადოებას, და ჩემი შთაბეჭდილებანი გა-  
უხიარო.

დიდი მოუთმენლობით ველოდი ამ გამო-  
ცემას, და გამოტენით უნდა ვსთქვა, მხატვრუ-  
ლი მხარე უფრო მაინტერესებდა, რადგან ილიას  
ნაწერებს, შედარებით, ვიცნობდი, ამ მხრით ახა-  
ლს იმდენს არას ველოდი. და სწორედ აქ გა-  
მაიმუნუნდა მთლოდინი. აქ ვერა ვნახე არ, რასაც  
მხატვრული სახე ეწოდება, აქ ვერა ვნახე სურა-  
თი, ილუსტრაცია, აქ არ არის განსახიერება  
ილიას სურათების. თქვენ ვერ ნახავთ ნამდვილ  
პოხას ისე, როგორც ეს ილიას აქვს მშვენივ-  
რად დახატული, თქვენ ვერ ნახავთ თითქმის  
პეიზაჟის სისწორესაც კი; მე კი მგონია, აქ,  
ნამდვილა, ზედმიწევნითი სახენი უნდა მიგველო.  
ეს კი არ მოხდა. რატომ? იქნებ ბ-ნი ჭრინვესკი  
ვერ არის კარგი მხატვარი? არა მგონია. მაშ რა  
არის მიზეზი, რომ მან ვერ მოგვცა ვერც ერთი  
სწორი სახე? ვერ მოგვცა ილუსტრაცია? მიზეზი,  
ჩემის აზრით, ის არის, რომ ბ-ნ ჭრინვესკიმ  
დახატა ისე, როგორც უთხრეს, და რაც უთხრეს,  
და არა ისე, როგორც ჭხატავს საზოგადოდ  
მხატვარი — ხელოვანი. და სწორედ აქ არის





### მოდრავი დასი ქიზიყში

რომელმაც ამ ზაფხულს სიღნაღსა და ქიზიყის სხვადასხვა სოფლებში ოც-ამდე წარმოდგენა გამართა. დასი მოგზაურობდა ურმით. ზევიდან პირველ რიგზე: ვ. მარგველაშვილი, ი. ყივიძე, ა. კავთელი, ნ. გვარამია, ი. თარალაშვილი, — დგანან: ნ. ჩაგუნავა, ვ. ალულიშვილი, ო. სააკოვისა, ურმის თავზე — მეურმე, ძირს მეაფიშე.

დალატი ხელფანებისა. შემოქმედებითი ზრტყის უფრო რთულია, ვიდრე ეს გვეჩინა. რამდენიმე გვირის დასასატად, მხატვარმა თვით უნდა განიცადოს მთელი მისი დეკლამაციური, გულის დუდილი. მხატვარმა თვის არსებაში უნდა გადმოიხატოს მთელი შინაგანი სტიქია გვირისა, გადადგოს, და ასე განიმსჭვავლოს მისი გრძობით. მხატვარმა უნდა შეისწავლოს გვირის აზრი, ვნება, ფორმა, სხეული. მასში შესძებნოს მის დასატვას, და თვით სხეულის ყოველ ნაკეთის სისრულით გადმოცემას. მასში მიიღებთ ნამდვილ ილუსტრაციას. ბ-ნ ჭინევესკის უნდა სცნობოდა: კაკო, ზაქრო, ლუარსაბი, ოთარანთ ქვრივი, უნდა სცოდნობდა ზირ-ქუში სხე განდგომისა, მისი აგონია, და იგივე ამდღებოდა ხელფანებისა. მასში მოგვეტემათ მათ ნამდვილ სსეებს. აქ კი მსოფლი მანქანები მოგვცა. ამით მან უდალატი ხელფანებს, და დიდი ცოდვა ჩაიდინა. მისი დასატი „ნაკადული“ — „ჯიჯილს“ უფრო შეუერება, ვიდრე სსგანგებო, ძვირფას გამოცემას...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვახტანგ კოტეტიშვილი

### ჩემო სამშობლო!


(მელიტონ გობეჩიას ხსოვნას)

— ჩემო სამშობლო, შენს კალთაზე ვიზვი-ვიზარდე; ბავშობიდანვე შევეზარდე შენსა სინაზეს. შენ შემეყვარდი! გულსა მიტკობდა, მიხარებდა ზამთარ-ზაფხულში მოკისკისე შენი ტყე-ველი. — შენ იყავ ჩემი სანეტარო ტურფა-მიჯნური, შენზე ვფიქრობდი, ჩემო კეკლუცო!!

ჩემო სამშობლო, კობტავ, ტურფავ, ყვავილოვანო, რა რიგ მინდოდა შენს წიაღში დაბადებულსა სამუდამოთაც შენს მიწაზე მიმძინებოდა.

უწყალო ბედმა მოკლა წადილი. ჩემ სამარეზე არ ამოდის ია-ზამბახი, არცა ამშვენებს მობიბინე ნაზი ბალახი, მძლავრად შეუკრავს ყინვას ჩემი სამარის პირი და სავალალოდ თავხედაც-კი ბუღბუღის ნაცვლად — ყვავი დამჩხავის.

ილია ბახტაძე



# შემოდგომა თბილისში

(ვუძღვნი დაკარგულ მეგობარს)


რომ იცოდე რა კარგია ეხლა, ამ დროს ეს მიდამო:  
 წუთის განცდა სიცოცხლეა საუკუნო, სამუდამო;  
 ამ დროს მტკვარი ჭიანჭურბს, ჭაღარა და მოცახცახე,  
 ამ დროს მსკოვან მთაწმინდასაც ეფურცლება ღიმილთ სახე;  
 ამ დროს ხალხსაც ვერა ნახავ გულ-ჩახვეულს, გულ-მწუხარეს...  
 — შენ კი სად ხარ? რომელ მხარეს?

იქნებ როცა შემოგვსმა ხმა ბრძოლისა, ხმა გმირული,—  
 ომში წახველ, და შენც იბრძვი მამულისთვის განწირული?  
 იქნებ გდინარ ბრძოლის ველზე დაფლეთილი მარტოდ, ობლად,  
 უხმობ დედას—სამალამოდ, უხმობ სატრფოს—თანამგრძნობლად  
 და მათ ნაცვლად ყვავ-ყორნებმა დაგჩხავლეს და დაგხარხარეს?  
 — სად ხარ, სადა? რომელ მხარეს?

მაგრამ იქნებ მტრის ბანაკში შეაფარე შიშით თავი,  
 იქნებ გახდი მოღალატე, ჯაშუში და გამყიდავი?—  
 და გაპყიდე ეს სამშობლო, და გაპყიდე ეს მამული:  
 გმირთა ძვლებით მოკენჭილი, მებრძოლთ სისხლით დანამული?  
 იქნებ მოპკვდი და საჩუქრად საფლავიც არ გაგიტხარეს?  
 — სად ხარ, სადა? რომელ მხარეს?

რომ იცოდე რა კარგია ეხლა, ამ დროს ეს მიდამო:  
 წუთის განცდა სიცოცხლეა საუკუნო, სამუდამო;  
 ამ დროს მტკვარი ჭიანჭურბს, ჭაღარა და მოცახცახე,  
 ამ დროს მსკოვან მთაწმინდასაც ეფურცლება ღიმილთ სახე,  
 ამ დროს ხალხსაც ვერა ნახავ გულ-ჩახვეულს, გულ-მწუხარეს...  
 — შენ კი სად ხარ? რომელ მხარეს?

თბილისი, ენკენისთვე.



*Handwritten signature*

# მოგონება

(ძღვნად მაწაწის)

ისე ტკბილია ეს მოგონება, ისეთი ნაზი და მიმზიდველი,  
 ვით შავ თმიანი მაისის ღამე, როგორც მზის შუქი უკანასკნელი.  
 ჰა, მაგონდება ბალი, ნაძენარი, მიდამო მწვანედ ფოთლილ-ხურვილი,  
 იქ შენს თვალეში ამოვიკითხე გამოუცნობი ვნება-სურვილი,  
 მაგრამ გაფიცებ, გაფიცებ ღმერთებს აწ ნულარ მტყორცნი თვალთა მაგ ისრებს,  
 თუ სულს ვერ მისცემს განცდას ძლიერსა, თუ ჩვეულებრივ ტრფობას მაკისრებს,  
 დაუსრულებელ ძიების საგანს შენს სიყვარულში მჯერა ვერ ვპპოებ,  
 ნუ შემიყვარებ, თორემ მერწმუნე, მყის მოგშორდები, მყის მივატოებ.  
 თუ შემოგჩივლო უმეგობრობა, ყურს ნუ დაუგდებ ჩემსა ჩივილსა,  
 მე თვითონ შეეძლებ, მე თვით ავიტან ამ ჩემი სულის წყლულსა-ტკივილსა...  
 ისე ტკბილია ეს მოგონება, ისეთი ნაზი და მიმზიდველი,  
 როგორც სიზარბი ქალწულ ქალისა, ვით ანგელოსთა საგალობელი...

მთის ნიავი



# 1914-15 წ. სამთრის

# სეზონის რეჟისორები

ქართული  
ბიზნისი



სახ. სახ.  
კ. სათირიძე



ბაქოსი  
შალ. დადიანი



ქუთაისის  
ვ. შალიკაიშვილი



ქიათურის  
ვ. ბარველი



ავლაბრის  
ი. ივანიძე



მ. ქორელი



ალ. წუწუნავა

თბილისის

## კომპოზიტორ დ. არაჩიშვილის თხზულებანი

ვათავებ-რა ჯერ-ჯერობით მსჯელობას ბ. არაჩიშვილის კომპოზიციებზე, მსურს შევეხებოდეთ მის ორკესტრიულ ნაწარმოებთ. ამათ რიცხვში შედიან: ოპერის შესავალი, ორმუხდის ჭიშნი (სახანდრისეული), ფუგა, ესმერალდი, დავლურ-ლეკერი და თუშების ცეკვა.

ამ ექვს დიდ ორკესტრიულ ნაწარმოებში ჩვენს უზრადლებას იქცევს პირველი ოთხი თხზულება, როგორც საკუთარი ნაყოფი კომპოზიტორის შემოქმედებისა, მისი ფანტაზიის შედეგი. ორი უკანასკნელი კომპოზიცია-კი (ცეკვა), როგორც ხალხიდან აღებული და დამუშავებული ტემა, ჩვენთვის საინტერესოა მით, რომ ამუღანებს კომპოზიტორის, ნიჭთან ერთად, თეორეტიკულად მომზადებას და ორკესტრის შედმიწეებით ცოდნას.

რაც შეეხება პირველ ორს ნაწარმოებს, მათზე მსურს ცოტა ხნით შევჩერდე; ოპერის შესავალზე ჯერ არაფერს ვიტყვი, ვიდრე არ მოვისმენ მთელ ოპერას იმის გასაცნობად, თუ რამდენად ზედმიწევნითაა აქვს ავტორს შესავალში შენასკული ოპერის კვანძი, ანუ დედა

აზრი და რამდენად იგივე კვანძი ფართოდ აქვს გაშლილი და დამუშავებული ოპერაში.

ვიდრე გადავიდოდე "ორმუხდის ჭიშნის" განხევაზე, ვაღადავ ვრაცხ თავს უთა შენიშვნა ჩუროთ. კომპოზიციის განხევის დროს მე არ ვაქცევ უზრადლებას იმას, თუ რამდენად იგი თეორეტიკულად არის დაწერილი, ე. ი. რამდენად კომპოზიციის ექვემდებარება არსებულ მუსიკალურ გრამატიკას. ამ მხარეს ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც მუსიკალური თეორია, ან გრამატიკა, ისეთივე ცვალებადი და მრავალფეროვანია, როგორც კაცის ენა, და ამიტომ ამ შემთხვევაში ის კომპოზიცია სტოვეებს შთაბეჭდილებას, სვადც, აზრთან ერთად, გამოსჭვრეტს კომპოზიტორის უადრესი ნიჭი და ამ ნიჭის მუსიკალურ ფორმად და ტკბილსმოვანად ჩამოსხმა, თუნდ ეს ფორმა არც-კი ექვემდებარებოდეს არსებულ მუსიკალურ თეორიას.

"ორმუხდის ჭიშნი", ანუ როგორც წინადა უწოდებდა კომპოზიტორი, "სახანდრისეული", წარმოადგენს შესანიშნავ მუსიკალურ ქმნილებას,

როგორც სიმფონიური ნაწილები. მას ჩვენ არ შეგვიძლიან ვუწოდოთ სიმფონია, რადგანაც იგი არ შესდგება იმ ნაწილებიდან, რომელთაგანაც შესდგება სიმფონია და არც არის მასში დაცული სიმფონიის ზომები. „ორმუხდის ჭიმი“ შესდგება ერთ ნაწილისგან და თავიდან ბოლომდე დაცულია ერთი ზომა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუსიკა, როგორც ნაყოფი დამჯდარი ფიქრისა, შესანდუნავს და მთლიან შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელზე.

დრამად რომ ჩაუვირდეთ ორმუხდის ჭიმი და გვსურდეს ვხაოთ მასში რაიმე დიდი იდეა, ეს ტუფილი ცდა იქნება და არც ჭიმიან კომპოზიტორს ეს შეეძლება. ეს თხზულება უცაბედი ნაყოფია მისი ფანტაზიისა, მისი შემოქმედებისა; მაგრამ უცაბედი ნაყოფი ფანტაზიისა რომ ჩამოასხა მშენიერ დიდს მუსიკალურ ფორმაში, ამას დიდი დრო და შეცდომებები უნდა, რასაც საფასურით მოწმობს თვით ნაწარმოებები.

ჭიმნის პირველი აკორდი რომ გაისმის, მსმენელი რაღაცა სიამოვნებასა ჭგობნობს, იმ სიამოვნებას, რომელიც ჩაესახვის ხალხი გულში სამშობლოს ჭანგის გაგებების დროს, და, მართლაც, ორკესტრი ასრულებს სახანდრის-სეულ კაღოს, რომლის ხმაც წვრილია, წვრილა და და გულის სიღრმეს ასე სწვდება, როგორც კვლეუნი ქალის ადრისი და გულს ისე სთუთქავს, ვით გლავის ზარი.

აი ამ სამშობლოს ზღვის ნაპირიდან ამოდრავებს კომპოზიტორი თავის ნიხებებს და მიასრიალებს ნავს წინ, წინ, უკან კი რჩება აბიბინებული მდგომ, ფერადოვანი ტუე და მარად თოვლისგან თეთრად შეფიფქვლილი მთები.

კარგად რომ გაშლის ფრთას და მოამარჯვებს ნიხებებს, კომპოზიტორს დაავიწყდება სიდიდესაც აცურდა თავისი ნავით; მას ავიწყდება სამშობლო ნაპირი, მისი ჭანგი, ავიწყდება ამ ჭანგით უკვე მოხაბული მსმენელი და მიაქროლებს თავის ნავს უცხო ქვეყნისკენ, სადა ნაპირებისკენ, უცხო ხმებისკენ. მაგრამ მოხიზლული მსმენელი არ არის წაგებაში, არ არის მოტუებული. კომპოზიტორს შეჭავს მსმენელი უცხო ფარგალში და უშლის თვალწინ უცხო მშენიერ სურათსა, უცხო მუსიკის საღაროს; ასე რომ სამშობლოს ჭანგიდან უცხო ჭანგის

სფეროში შეცურვს არ არის მსმენელისათვის მოულოდნელი, ეს მას არ ესმის, რადგანაც კომპოზიტორი ისეთს ტურფას დასწვდება, სიკაღურ სურათებს უხატავს, რომელნიც ისეთივე სიძლიერით ჭნობლავენ და იმთბებენ მსმენელს, როგორც დასაწყისში.

სწორედ აქ გაისმის მუსიკის მძლავრი და უცხო აკორდი, აკორდი ტუბილი და სულხამბერავი, აღმაფრთოვანებელი. როდესაც ისმენ მუსიკის შუა ნაწილს, როგორც უნებლიედ ჭდელები, ძალა გემსტება, მუსიკა გიტაცებს, ღამის შეიცურთ ამ მუსიკის ტალღებში და გჭვუვე მას წინ საბრძოლველად, უნახავის სახილველად. აქ კომპოზიტორი ისეთი ძლიერი და შეუხავრია სულით, რომ ეს სიძლიერე ანდამატავით ხედება მსმენლის გულსა და იტაცებს.

მაგრამ გატაცებულს კომპოზიტორს უნებრადცა მოაგონდება, ჩაფიქრდება და ეს ფიქრი შეაფურხებს ორკესტრის ძლევაშილს მსვლელობას, ორკესტრი შეტრტმანდება და დაიწყებს ფეთქას კომპოზიტორი გაიხედავს უკან და მოაგონდება სიმშობლოს ნაპირი, საიდანაც ეს კი იყო ასრიალდა, მოაგონდება მშობლიური ჭანგი და ისევე გაისმის ორკესტრის გულსაკლავი სახანდრისეული ხმა...

ამ კომპოზიციაში კომპოზიტორს დიდი შრომა და დაკვირვება აქვს ჩანერგილი; მასში გამოსჭვრეტს ის ტენდენცია, ანუ ავტორის მიდრეკილება, რომელსაც შე მივაქცევთ ურდადებას ჩემს პირველსა და მეოთხე წერილში, კ. ი. დასხლავება და დაშეკობრება, შენელება ქართულ და ევროპულ მუსიკისა, რაიც ბ. არა-ეიშვილს სეადმიწევნით ესერხება.

ამ მხრივ რომ შევხედოთ ორმუხდის ჭიმნს, მაშინ ეს ნაწარმოები ბ. არაეიშვილის პროგრამად უნდა ჩავთვალოთ და როგორც დაინახავს ამ პროგრამას კომპოზიტორი შემდეგ თავის ნაწარმოებში, ამის მომავალი დაგვანახებებს.

შე მთლად არ შემიძლიან ამოვკრიფო ის მარგალიტება, რომელნიც მრავლად არიან გაფანტულნი ამ შესანიშნავ ნაწარმოებში, რადგანაც პარტიტურა ხელთ არა მაქვს და ირითღე მოსმენით კი ამასთანა კომპოზიტორის საფასურით შესწავლა ეოვლად შეუძლებელია.

ბ. არაეიშვილზე, როგორც დოტორზე, შემდეგ ვიტყვით ორიოდე სიტყვას.

**გ. საყვარელიძე**

ქ. პეტროგრადი.



ქართული  
წიგლისწიგნი

# ცხორება

## მოქმედება მეორე

სცენა პირველი მოქმედებისა.

I

**გიორგი, მაია.**

**გიორ.** (კაკლის ქვეშ მავიდასთან ზის, სვამს უმაღლთ ყავასა. დღვრემილი კათხუფასს გახეთს; სანის გამამეტეველებით, მოძრაობით ეტეობა ამონაკითხის შინააწისს მოქმედება) გახშირდა თავის მოკვლა: მოარულ სნეულეზად გარდიქცა. . ცხოვრება შევიწროვდა; ჰაერი დამძიმდა, ზე დააწვა კაცობრიობას, ვით ნისლი მთებსა... კიდევ თავის მოკვლის შესახებ...

**მაია** (ავანსჲე შეჩერდება, გიორგის აქტეკს ურადდებას) ყავა ჯერ კიდევ არ დაგილევი, შვილო? მე-კი მეორე უნდა გამომეტანა ..

**გიორ.** არა, დიდდა-ჩემო, მადლობელი ვარ. .

**მაია.** რა გემართება, შვილო, დიდდა გენაცვალოს. ეს საში დღეა შენს ფერზე აღარა ხარ.

**გიორ.** როგორც მოღრუბლული ცა განა, დიდდა-ჩემო! რა უყოთ, ჩვენც ხომ ამა ბუნების შვილნი ვართ! აბა, დიდდა-ჩემო, შეხედე ცასა: მარცხნივ მოწმენდილია .. ხოლო მარჯვნივ-კი შავი ღრუბელი არა ჩვენ მთასა დაჰპირდაპირებია, თითქო მების დაცემა-განადგურებას უპირებსო.

**მაია.** ღმერთმა დაიფაროს! მაშინ ხომ მეორედ მოსვლის ნიშანი იქნება... არა, შვილო! მაგ ჩვენ მთას ბევრი მაგისთანა შავი ღრუბელი დასწოლია ცხოვრებაში... არა თუ მარტო მარჯვნივა, არამედ ორივეს მხრიდანა... ბევრი, მრავალი მხიცი დასტეხია... მაგრამ... მაგრამ მაინც ამაყადა სდგას... ისე მოუგდია თავზე თეთრი ქუდი თოვლისა, ვით »პატარა კახსა ბელადის დამარცხების ნაბდისა თეთრი ქუდიო«. ასე იტყვიან ხოლმე მთიულები.

**გიორ.** მაგრამ იმის შვილებს-კი ჯვაროსნობის ნიშნეული ქუდეზა სრულიად მოხადეს...

**მაია.** რა უყოთ, შვილო! »ჩვენ წავალთ და სხვა დარჩებაო«... ნათქომია, ხოლო ვინც

დარჩება, ეცადოს წითელი ქუდი მოიგდოს თავზედა, ნიშნად ცხოვრებით გამარჯვებისა...

**გიორ.** მაგრამ ვინც სისხლს ერიდება, ის ვერც გაიმარჯვებს...

**მაია.** ვისაც როგორ მოეხერხება, შვილო. ხოლო გონება-კი ცხოვრებაში ყოველთვის გამარჯვებულია. აი, თუნდ მძლავრ მახვილზედაცა. მახვილი სისხლის მღვრელია, ხოლო გონება სიყვარულისა მთესველი; თესლი-კი სიყვარულისა კაცობრიობის ნაყოფია ცხოვრებისათვის.

**გიორ.** (ხელზე გამბარება) მაგისათვის მიყვარხარ, დიდდა-ჩემო, რომ შენი ბუნებრივი გონება, შედარებით ჩემთან, იგივეა რაც ჩემ მიერ სააქიმოდ შეზავებული რკინის წვეთები სნეულისათვის, ამ ჩვენ მთის ძირში გადმოჩუხჩუხებული კლდიდან ბუნებრივი თავისების მუავე წყალი. შენი გონება ნამდვილი ბუნებრივი დაუშრეტელი წყაროა, რომელიც ჰკურნავს ჩემისთანა სნეულს...

**მაია.** სნეულებისაგან ღმერთმა დაგიხსნას, შვილო! ცხოვრებაში დარდი სნეულება-კი არ არის, არამედ ძველი ქალამანია; ამისხი, დიდდა გენაცვალოს, ახალი ქალამანი, ძველი-კი მოისროლე ღორების შესაქმელადა...

**გიორ.** „ქალამანი“?! ..

**მაია.** ამას თავი გავანებოთ, შვილო, და მითხარი, თუ გიყვარს დიდდა შენი, გიყვარს კატოი?

**გიორ.** დიახ, დიდდა-ჩემო, მიყვარს...


**მაია.** (მთრადლებით უსიამოვნოდ შეიქნება) მერე – და რას აპირებ, შვილო?

**გიორ.** არ ვიცი...

**მაია.** თუ არ გინდა, ჩემთან გულის გარდაშლა, ძალას არ დაგატან...

**გიორ.** არა, დიდდა-ჩემო! ერთი მითხარი, ჩემს ცხოვრებაში შენზე უკეთესი ვილა მყავს? აკი გითხარი შენზე უკეთესი ბუნებრივი მკურნალი ამ შემთხვევაში არავინ მინდა.

**მაია.** მართალია, შვილო! მაგაზედა სთქვა რუსთველმა »რა ექიმი დასნეულდეს, მან ვერ ჰკურნოს თავი თვისი«-ო... მაგრამ



მე არა როგორც ექიმი, არამედ ვით ნავალი გზა...

**გიორ.** დიდება-ჩემო! კატო როგორც იქ, რუსეთში, ისე აქ მეუბნება: „ჯვარი დავიწვროთ და წავიდეთ აქედანაო. აქ ვერ ვავძლებო“... შენ-კი, აბა, ამაზე რას იტყვი?

**მაია.** ფრინველიც-კი, შვილო, სადაც გამოიჩიკება და ფრენას გაეჩვევა, იმავე მხარეს დაბინადება მაგრამ, რას იზამ?.. ადამიანს ცხოვრებაში სადაც გული ჩამოუვარდება, იქ ეცხოვრება. შენც, შვილო, სადაც შენთვის უნჯობესი იქნება...

**გიორ** როგორ გგონია, დიდება-ჩემო, კატო მე ცოლად გამომადგება?

**მაია.** მაგისი თქმა, შვილო, ძნელია შესაძლოა ჩემმა მოხუცებულმა გონებამ შენამდე ვერ გასჭრას. შეიძლება ჩემი პასუხი იმ ბებიასა ჰგვანდეს, რომელიც მელოგინე მშობიერს არ დაუმაღლავს და მიაძახებს: „შენი შობილი მახინჯიაო“...

**გიორ.** დიდება-ჩემო! მეც მაგასა გთხოვ, არა დამიმალო რა და გულახდილად შენი აზრი გამიზიარო.

**მაია.** კარგი, შვილო! მაშ, ერთ რამესა გკითხავ და მიპასუხებ?

**გიორ.** ქეშმარიტად გიპასუხებ.

**მაია.** მამაშენი გიყვარს?

**გიორ.** არა თუ მიყვარს, არამედ მრწამს იგი, მამა ჩემშია, ვით მე სამშობლოში. აი, აქ, მთებ შორის, სადაც დავიბადე; მასთან ამა ხეებთან აღვიზარდე; მათი ამონასუნთქით ვისუნთქე ცხოვრებაში. მამიჩემის სულს ვგრძნობ ისე, ვით ჰაერს ამა მშობელ ადგილისას. (გარდაუღი) მე ვხედავ მამაჩემს ყოველთვის გონებით... ვით მთვარეს ბნელს ღამეში გზისა ლამპრად.

**მაია.** მით შვილო, უფსკრულს ასცდები... მითხარი, შვილო, კატო თავის დედასა ჰგავს?

**გიორ.** მე იგი არ მინახავს; ხოლო მის სურათს კატოს მამა რო თვრებოდა, მაშინ მაჩვენებდა; მას უბეში ატარებდა. იმ სურათით კატო გეგონებოდა.

**მაია.** საზოგადოთ ლოთი ყოფილა, თუ...

**გიორ.** ჩვეულებრივი ლოთი.

**მაია.** მაშ, შვილო, კატო, მეუღლედ არ გამოგადგება.

**გიორ.** იმიტომ, რომ. .

**მაია.** მეუღლე, შვილო, საჭიროა: მაღალ-ზნე კეთილ შთამომავალისა, ჩვენში იტყვიან გვარიანჯიშისაო, ვით თესლისათვის ნაყოფიერი წმინდა ნიადაგი. არ გეტყვი, რომ ჩემი მამის უპირატესობას არ ვაძლევდე, მაგრამ კეთილი უცხო ტომისა მირჩევნია ჩვენი ვანოს მაგავს, რომელიც ცხოვრების მუწუკია...

**გიორ.** ვანო, ვანო, მართლაც, რომ მუწუკია ჩვენი...

**მაია.** საცოლვე, შვილო საჭიროა: ჯანსაღ შთამომავლობისა, რომ მან შვილი შეას ჯანსაღი ამა უკუღმართ ცხოვრებისათვის. მჭლე თესლისა, თუ ღონიერი ნიადაგი დახვდა, მას გააღონიერებს და, თუ ამინდიც ზედ შეწყობილი შეხვდა, გააძლიერებს ნაყოფს ცხოვრებისათვის. ამაზე ითქმის, შვილო: „დედა ნახე, მამა ნახე—შვილი ისე გამომნახეო“...

**გიორ.** ეხ, დიდება-ჩემო, მამიჩემის საანდერძო წერილშიაც სწერია...

(გაგრძელება შემდეგ)

*Handwritten signature or mark.*


# ჩემი ნატვრა



ზეპულა ხარ, ოცნებაო, ზეპულა, ფრთა-მოქარგული, და, როცა ფრთებს აფარფატებ, მაშინ დგება გაზაფხული!..  
მინდა გულში მქონდეს ბედნი, ვგავილებით შემეკობილი, რომ იქნების შესცდე, ტურფავ, და იქ გნახო მოფრენილი!..  
შენც ჭუნოსავდე ამ ვგავილებს, და ამ ენოსვით დასტკებოდდე,— ეს მეუფთა სანუკეშოდ და მერე თუნდ მოფკვდებოდდე!..

იუზა ზარდალიშვილი

# სახალხო მწერალ-მოქალაქე



გიორგი ივანიშვილი  
7 იანვარი

## გიორგი ივანიშვილ ძე სკანდარ-ნოვი

ჩვენს საუკუნეში მეტია ქართულ სამწიგნობრო ასპარეზზე მუშაობს, როგორც მუხამბაზ-სიმღერების მწერალი და სხვადასხვა წიგნების შემდგენელი. განსაკუთრებით ცნობილია მის მიერ შედგენილი „სახალხო საზნადარი“. ამ წიგნის შესავალში (მეხუთე გამოცემა, 1911 წ.) გ. სკანდარ-ნოვი ამბობს:

„დასრულდა ორმოცდამეათე წელი, რაც შევადგინე ეს „საზნადარი“; მხოლოდ გავწიე მე შრომა ძნელი, ვიდრე მოვაწიე სრული დავთარი, ჩვენ საწყალ ხალხს შემამკაცვრავდა ხალხინო წიგნი...“

ძველთაგან-ძველი სიმღერები, სუ საგანგებოდ შემიკრებია“

მართლაც ამ წიგნში შეკრებილი აქვს: ბესიკის ალ. ქავჭავაძის, შიო მუჭიანურის, საიათნოვის, სტეფან ფერშანგოვის, დიმ. ბაგრატიონის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, რაფ. ერისთავის, ილია ქავჭავაძის, ჰაზირასი, დ. გვიგინის, თვისი და სხვა ძველი მომღერალ-მწერალთა ლექსები. ამ წიგნს დიდიგასავალი ჰქონდა და აქვს ქალაქის მდაბიო ხალხში და, —თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენის საუკეთესო მწერლების ნაწარმოებთა ხალხში გავრცელებას ძლიერ ხელი შეუწყო. ეს წიგნი პირველად გამოიცა 1861 წ. მეხუთედ 1911 წ. ათი ათასამდე ცალად. დარწმუნებული, რომ თვის ძალღონის შესაფერად სარგებლობა მოუტანა ხალხს, გ. სკანდარ-ნოვი სწერს:

„მე იუბილესი სუ არ ვნატრულობ: ჩემი იუბილე თვით აღვასრულე! მე ამისათვის არცა ვკვებულვო, რაც რო გულ-მედვა სუ შევასრულე!..“

ძველი ავიგე დაუვიწყარი, ჩემი ძველია ეს „საზნადარი“! ხალხისთვის ვტოვებ ჩემ სახსოვრად...“

გ. სკანდარ-ნოვი საკუთარს ლექსების ენა უფრო ქალაქურია, სომხურ მიმოქცევით; ზოგიერთს მის სასიმღერო ლექსს დღესაც ადტაცებაში მოჰყავს მსმენელი. ასეთია: „ორთავ თვალის სინათლევ“, „სირინოზთა ფრენა მე“, „ჩავარდნილვარ ეშხის ზღვაში“, „ქვეყანა ჩალად არა ღირს“ და სხ. გ. სკანდარ-ნოვი განსაკუთრებით ქალაქის მდაბიო ხალხშია ფრიად ცნობილი და მიღებული.

გ. სკანდარ-ნოვი (ხელოსანია, მხატვარ-კალატოზი, დაიბ. თბილისში, 1834 წ. სწავლობდა კომერციულ სასწავლებელში) ჯერ კიდევ ჯანღონით შეუდრეკელია და მწერლობას ხალისიანად ემსახურება. იგი სომხურადც სწერს და ადგენს სხვადასხვა წიგნებს. ჩვენთვის მითია პატივსაცემი, რომ ძველ მომღერალ-მოლექსეთა სიმღერები, რომლებიც ზეპირად გადადიოდა ერთი თაობიდან მეორეზე, თვის დროზე შეაგროვა და შთამომავლობას არ დაუკარგა.

## იოსებ არიმათიელი



# სახლის დაქირავება

(გურული სცენა)

ჯერ იყო, ბატონო, და არდგილის შონა გამიჭირდა ამ დასაქცევ ქალაქში. რავარც იყო ვიშონე ადგილი, მევითფე პაწე ხელი, ჩამევიყვანე ცოლ-შვილი, მარა ახლა სახლის შონა არ გინდა? სადაც მივედი, ყოლგან ასე მითხრეს: თუ ცოლ-შვილიანი ხარ, მაშინ მეტი ეღირება ოთახიო; ზოგან სულ არც კი შემისვებს სახლში. გასაკვირია სტორეთ, ცოლ-შვილიანებმა აწი რა თვალები დავთხარეთ, რომ ქირას მეტს გვახთიებენ! მიზეზი რომ ვკითხე, ყველამ ასე მითხრა: ბაღნები ხან ტირიენ, ხან იცინიენ და გვაწუხებენო. აი დასწყევლოს ღერეთმა, რა უცნაური ხალხი ყოფილარიან სახლის პატრონები: ბაღანე გეციენებს კიდევ და ატირდება კიდევ და ამიზა ქირა მეტი უნდა ვიხადო? მარა რას იზამ რა, სხლი ღისია და ძალაც მის ხელშია... ორში ერთი: ან ცოლ-შვილს უნდა გიყვარო, ან ოთხი-ხუთი მანათი თვეში მეტი აძლიო.

რ. ჯიბილი



# ქართულ სახალხო თეატრის ისტორია

1890 წ. სანდრო დავითაშვილს (ვერის წარმოდგენებში ქალების როლს თამაშობდა) მიემხრო სახელმწიფო სასწავლებლის მოწვეული ისაკა ძნელაშვილი, რომელმაც განიხილა თავის უბანშიაც, ავჭაღის ქუჩის ახლოს, ემართა საოჯახო წარმოდგენები. ერთ სელამოს, რადესაც ვიდაცა ფოკუსნიკს, ტუხაძე წოდებულს, ფოკუსები უნდა ეჩვენებინა, სან. დავითაშვილმა მეზობლის ბიჭების შეწევნით დადგა „კაპიშონი“, ორ მოქმედების კომედია, რასაც აუარებელი ხალხი დაესწრო.

ამის მეორე-მესამე დღეს, როგორც სკოლისავე ამხანაგს, მიამბეს ეს, რასეღაც შეძრიელ დავემდურე, რომ არ შემატყობინეს. ხელ-მეორედ ავირჩიეთ „კაპიშონი“, შევეკრიბეთ ჩვენი უბნის ნაცნობი ახალგაზდობა, გავანაწილეთ როლები და რეპეტიციები დავიწყეთ, სანდრო დავითაშვილის სახელში. რადგან იმ დროს ქალის შოგნა ძლიერ ძნელი იყო, ამიტომ ქალის როლს ისაკა ძნელაშვილი თამაშობდა. მეზობლები სიცილით იხილებოდნენ, რადესაც უტყუროდნენ, ვაჟი როგორ ასრულებდა ქალის როლს. ვცდილობდით რეპეტიციებზე უცხო ვირა არ მიგვეშო, მაგრამ ხშირად ამას ვერ ვახერხებდით. სტენისათვის მოხერხებულად ისევე ისაკა ძნელაძის სახლის დერეფანი ვცანიოთ. მოვამზადეთ სტენა, გაკაბი, ჩაჩსავი წინა ფარდათ, მოფრთოეთ სტენა ხალიჩებით და როცა ეგვალფერი რიგზე მოვსწევით, შევატყობინეთ ნათესავ-მეგობრებს, მეზობლებსა და წარმოდგენაც გავმართეთ. ეს იყო 1890 წ. მისში. დღე არ მახსოვს. საქმის ინიციატორები და მოთამაშენი სულ მუშები ვიყავით, და ამიტომ ამ ამხანაგობას თავიდანვე დაერქვა „სტენის მოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა“. წარმოდგენა გამოცხადებულ დროზე დავიწყეთ, შესვლა უფასო იყო, ხალხი აუარებელი დაესწრო და ნასიამოვნებით დაბრუნდა, მით უფრო, რომ ზოგს არც კი ეჩინა, რა იყო თეატრი. წარმოდგენის მერე ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რაკი შეუსძლედ ჩვენის ძალით წარმოდგენის დადგმა. სწორეთ ამ პირველ წარმოდგენიდან ე. ი. 1890 წ. მასიდან მოყოლებული დღევანდლამდე მუდამ

იმართება სახალხო წარმოდგენები. ეს ამხანაგობა სხეულისათვის ღირს დაშლილა დასწრისთვის ხელიდან მეორეში გადასვლით, დღეს უფალაშვილის სახალხო სახლამდისაც მოახწია. მეორე წარმოდგენა ისევე სახლის დერეფანში გაიმართა წარმოდგენილ იქმნა „არც გინახავს ვეღარ ნახავ“. აქაც შესვლა უფასო იყო და ხალხი ძრიელ ბევრი დაესწრო. მესამე იქვე — ოქტომბერი, მეოთხედ „არცე ნა“. ამ უკანასკნელ წარმოდგენასევე ბილეთის ფასი 5 კ. იყო ამ წარმოდგენასევე შემოიერთეს ისევე სახელმწიფო სასწავლებლიდან ამხანაგი ვასო დამფუძნებელთაგანი თეოდორაშვილი (იგივე ჯანიაშვილი), სახალხო თეატრის ერთი



3. თეოდორაშვილი (იგივე ჯანიაშვილი), სახალხო თეატრის ერთი დამფუძნებელთაგანი თეოდორაშვილი (იგივე ჯანიაშვილი, რომელიც შემდეგში ამხანაგობის თავმჯდომარედ იქმნა არჩეული) და განსვენებული მქაჩო მჭედლიშვილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)  
**გიორგი ჯაბაური**

## პროპინდიის სკანა

ს. საგარეჯო. საგარეჯოს დრ. სახ. და ადგილობრივ ინტელიგენციის, რომლითაც მადლიანად არას დაჯილდოებული ეს მხარე, უკანასკნელ შრომად ზაფხულის სეზონში უნდა ჩათვალოს ისეთი რთული პიესის დადგმა, როგორც „სამოლოა“, წარმოდგენილი 15 მარტამ. ამ დრამის წარმოდგენას დადის ეჭვით უყურებდა, მაგრამ მონაწილეთა ერთსულფონურმა, მწიობრმა თამაშმა პირველ მოქმედებაშივე გაფრთხილდა უფიქრი ეჭვი. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია თამაში ს. ქურდიანისა, რომელმაც ცოცხლად, გრძობობერად ჩაატარა ლევან სამთაშვილის როლი. ამ ახალგაზდამა სჩანს უეჭველი სასტენო ნიჭი და დრამატული ტენსი. ამასთან მისი ხალისიანი, ენერგიული მუშაობა სასტენო ასპარეზზე ხდის მას პრავინციის სტენის დამამშვენებელად. ი. ანუაშვილს ძლიერ ძნელი როლი ეკისრება, მაგრამ ბეჭითი მეტადინეობის შემწევით მაინც დასძლია. ქეთევანის როლს ასრულებდა ქ. ნ. ე. გარსიაშვილის ასული, რომელიც თავის ალგას ვერ გრძობდა თავს. დაკვირვებით ჩაატარა



ფაიხომის რელი ს. ბერიძის. იშვიათის შეკვებით და სელფინებით დაგვიხატა შაჰი ბ. ლ. ბერიძემ. მოხდენილი იყო ბ. ქვლივიძის დადინი. დანახენ აღმსრულებელთა შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ევეჯანი სცდილან ანსაბაღის შესაქმნელად.

ზაქსამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე, უფრო იმიტომ, რომ კარგეული მოწყობილება, მსატრეული მხარე, რომელიც მინდობილი ჰქონდა ი. ანუაშიაძეს, იათქმის სედ-მიწევნით იყო დაცული. განსაკუთრებით ამ ზაქსისთვის ბბ. ი. ანუაშიაძმა, ლ. ბერიძემ და იარაღებმა უსასეიდლოდ დახატეს რამდენიმე დეკორაცია, რისთვისაც სწამევი ზარა დადი მადლობის დიხსია.

Mortalis

# წ ვ რ ი ლ ი ა მ გ ე ბ ი

ს ა მ უ ო ზ ლ ო უ ი

➤ **მწარალმა სვ. ჰიფიანმა** თითქმის დაასრულა (ბოლო მოქმედებასა სწორს) თვისი ახალი პიესა „ხულიგანი“. პიესაში განსაკუთრებულის ელფერით არის დახასიათებული ჩვენი ყოყოჩა, მაგრამ იმავე დროს თაონობას მოკლებული და გარეწარი ინტელიგენციის უმეტესობა. პიესის დასკვნა: ჩვენი უმთავრესი ძალა სოფელშია და სოფლის დაწინაურება-ამაღლებას უნდა ვეცადნეთ.

➤ **ქართული თეატრის სეზონი** დაიწყო 21 ენენისთვის. I წარმ. „მსხვერპლი“, ი. გედევანიშვილის, II—25 ენენ. ავეროზი, შალვა შარაშიძის; III—2 ოქტომ. „უკანასკნელი“, მ. გორკისა; IV წარ. 5 ოქტომ. ტრაგედია „იორიოს ასული“, დანუნცაოსა.

➤ **ახალი ცვლილება** ჰხდება ქართულ სცენაზე. ქართ. დრამ. საზ. გამგეობის ხარჯით ჰხატვენ ახალ დეკორაციას (პანორამას), რომელიც სცენის პერსპექტივას აუმჯობესებს, დეკორაციების ცვლას აადვილებს და ანტრაქტებს ბევრად ამოკლებს.

➤ **ქართ. დრამ. საზ. გამგეობის კიბაბი** 29 აგვისტოს სხდომაზე, სხვათა შორის, გამოსთქვა სურვილი, რომ შინაარსიანი და კარგად დადგმული პიესები განმეორებულ იქმნეს ხოლმე.

➤ **ღუბათის სცენის მოქმედათა წრის გამგეობა** მადლობას უხდის მასწ. ნატალია ბასილაშვილის ასულს 12 წიგნის (პიესათა კრებულები) შემოწირვის გამო.

➤ **გრ. ჰიფიანმა** გვთხოვს გამოცეხადოთ, რომ მის მიერ ნათარგმნ პიესის „ლალი“ -ს წარმოდგენისა და ჰონორარის აღების უფლებას აძლევს თვის შვილს, გიორგი ყიფშიძეს, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს.

➤ **ქუთაისის დასი** (ანბანთა რიგზე): ქ-ნი: აბაშიძე ტ., ასათიანი, დავითაშვილი ნ., მდივანი მ., ქილარჯიშვილი მ., ციმაკურიძე ელ., ჯავახიშვილი ნ.; ბ-ნი: აბდუშელი დ., ალექსი-მესხიშვილი ვლ., გელოვანი მ., გუგუშვილი (მოკარნახე), გუნია ვ., მამფორია ი. (სცენარისტის), მგალობლიშვილი დ., მურუსიძე ა., ურუშაძე ვ., ფრანგიშვილი პ., შალიკაშვილი ვ. (რეჟისორი).

➤ **ქუთაისის დრამ. საზ. გამგეობას** თვალსაჩინო თანხა დაუხარჯავს თეატრის გალამაზებასა და დასის მოწვევაზე.

➤ **ბაჰოს დასის რეჟისორი** უკვე გაემგზავრა ბაქოს.

➤ **ჭიათურის დასი** შეიკრიბა და მეცადინეობას შეუდგა. ქალთაგან მიწვეულნი არიან: ოლ. ლეჟავა და ო. ლოლობერიძე.

➤ **ქართულ თეატრში** ქართული წარმოდგენა გამართება კვირაობით და ხუთშაბათობით, დანარჩენი დღენი აღებული აქვს ოპერეტასა და „ახალ კლუბს“.

➤ **პირველი წარმოდგენის** „მსხვერპლის“ უმთავრეს როლებს შეასრულებენ: საქოს—ვ. აბაშიძე, გაბოს—ვ. გამყრელიძე, ვანოს—ალ. იმედაშვილი, გიგოს—ყალაბეგიშვილი, ბოქაულს—ი. ზარდალიშვილი, სონას—პირეტა, ნატოს—ან. ქიქოძე, სოლომონ-თამადას—პ. კორიშელი.

➤ **„იორიოს ასული“**, დანუნციოს ტრაგედია, ქართულ სცენაზე პირველად იდგმება. ჰრეისორობს ალ. წუწუნავა. დაიდგმის განსაკუთრებულის მიზან-სცენებით. უმთავრეს როლებს შეასრულებენ: კანდია ლეონესას—ევ. მესხი, იორიოს ასულს-მილას—ნინო ჩხეიძე, ალიჯის—ალ. იმედაშვილი, ლაძაროს—ალ. ყალაბეგიშვილი, კოსმას—პ. კორიშელი, სამთა დათა—თოიძე, ლოლუა, შოთაძე.

➤ **სონის საზაფხულო სეზონი**, ა. ყალაბეგიშვილის რეჟისორობით 29 ივნისს დაწყებული, დამთავრდა 17 აგვ. გაიმართა 8 წარ., შემოსავალი საშუალო იყო. ორჯელ სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენა გაიმართა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. დასში მუშაობდნენ მსახიობნი: ალ. ყალაბეგიშვილი, რ. მაქარაძე, შ. ხონელი (მალე ჩამოშორდა) და ქ. ო. ლოლობერიძე; სცენის მოყვარენი: ქ-ნი ფაცია და აგრ. ბახტაძენი, მარო ბალანჩივაძე, ლ. ჩხენკელისა; ბ-ნი: ა. ბახტაძე, ტ. გეგელია, ვ. ნადარეიშვილი, ი. რუხაძე, რ. წიფწივაძე, ი. ჭავჭავაძე და სხ.

➤ **ომში გაფხულთა ოჯახების** სასარგებლოდ მოკლე ხანში ქართულ-რუსულ-სომხური წარმოდგენა გამართება პროექტორ „პობედას“ შენობაში, კახეთის მოედანზე.

➤ **თბილისის ცენტ. კომიტეტი** პატრიოტულ წარმოდგენას გამართავს ხვალ. 8 ენენ., ომში გაწვეულთა სასარგებლოდ,

➤ **მგოსანს ი. გრიშაშვილს** წაღვერში დაუწერია რამდენიმე ლექსი, რომელთა გამოცემასაც ცალ-

კე რვეულად აპირებს. ამ რვეულში, სხვათა შორის, დაიბეჭდება მისი ახალი ლექსი: „ზღაპარი გამაჰში“.

◆ **მგოსანმა ა. შანშიაშვილმა** დასწერა შესხმა „კახეთი“. დაიბეჭდებს ჩვენის ჟურნალის მახლობელ ნომერში.

◆ **ნოქარტა კლუზი** განუძრახავთ ქართული წარმოდგენების მმართველი სექცია შეადგინონ ნოქართავან. საქმეს თაოსნობს სცენის მოყვარე რაფ. ჯიბლაძე.

◆ **ივანე მაჩაბლის** თარგმანების ბეჭდვას შეუდგებიან ცოტა გვიან, რადგან ომიანობის გამო შესაფერი ქალაქი გამომცემელმა ვერ იშოვა და სხვა, მისგან დამოუკიდებელმა გარემოებამაც შეაფერხა. გამოცემა საგანგებო იქნება, ყოველმხრივ სრული. ხელის მოწერა გრძელდება. ქალაქ გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ წიგნი ფოსტით დაიკვეთონ გამომცემლისაგან (თბილისი, ოლგას ქ. № 52 კნ. ანასტასია ალექ. მაჩაბლისას)

◆ **სახალხო სახლში** ქართ. წარმოდგენების სეზონი ენკენისთვის შუა რიცხვებში დაიწყება. სცენის მოყვარენი მზადებას შეუდგნენ.

**რ უ ს თ ა შ ო რ ი ს**  
◆ **სამხატვრო თეატრში** თანამშრომლობის სურვილი 185 ქალ-ვაჟმა განაცხადა. ამათგან გამოცდაზე მხოლოდ 18 მიუშვეს და ესენიც ისე გასცხრილეს, რომ თანამშრომლობის ღირსად მხოლოდ... ერთი ქალი იცნეს.

◆ **გერმანელ მფრალთა ერთმა ჯგუფმა** მოწოდება გამოსცა—რუს მწერალთა ნაწარმოებთ ნულარ გადმოთარგმნით. ასეთი უკუღმართობა სამართლიანად დაჰკმეს რუსეთის გამოჩენილმა მწერალ-ხელოვნებმა (სხვათა შორის, ჩვენმა თანამემამულემ - ალ. სუმბათაიელმა—იუჟინმა) და სულ წინააღმდეგი აზრი გამოსთქვეს: ხელოვნება საერთაშორისოა, ლიტერატურა მსოფლიო ერთ მეტყველობს, დიადნი მოაზრე-მწერალნი მთელს ქვეყნიერობას ეკუთვნიან და თუ ჩვენ მოგვეწონება რამე, გადმოვთარგმნით კიდევ, თუმც თანამედროვე ნემეცთა ლიტერატურაში საიმისო არაფერიაო. მწერლობა ყველაზე უფრო ნეიტრალია და ასეთიც უნდა იყოსო.

**უ ც ხ ო თ ა შ ო რ ი ს**  
◆ **საზრანგეთის გამოჩენილი მგოსნები** როსტანი და რიშპენი თავისუფალ მემორებად ჩაეწერნენ და ბრძოლის ველზე გავიდნენ.

◆ **მორის მებეკლინი**, ბელგიელი გამოჩენილი მწერალი, რომელიც შემოსულ მტრის წინააღმდეგ თავისუფალ მემორად გავიდა, ლიეჟთან დაიჭრა.

◆ **ოსმალეთში ნამდვილი ეროვნული თეატრი** დღემდე არაა. დროგამოშვებით სხვადასხვა (ფრანგთა, იტალიელთა) მოგზაური დასნი თუ გამართავდნენ ხოლმე წარმოდგენებს სტამბოლსა და სხვა დიდ ქალაქებში, რომელთაც უმთავრესად უცხოელნი ესწრე-

ბოდენ, მდაბიო ხალხს-კი ევროპიულ თეატრზე არაერთი წარმოდგენა აქვს. მათი ერთადერთი განსაკუთრებული ყარაგიოზი—ჩინელთა სახალხო თეატრის მსგავსი შარქის მავგარი. ახალი თეატრის შექმნა მინდობილი აქვს ანტუნს, საფრანგეთის თეატრის „ოდენის“ დირექტორად ნამყოფს, რომელიც ფიქრობს ამ საქმეს სამ თვეში დაუდვას საფუძველი. ამ ჟამად სტამბოლში მთავრობის ოთხი კომისია (მწიგნობართა და თეატრის მცოდნეთა) მუშაობს ანტუნის თავმჯდომარეობით.

◆ **სამხატვრო აკადემიის დამის** შექმნას ჰტიქრობს ანტუნი სტამბოლში, რომლის შექმნა პარიზში ვერ შესძლო. იქნება ანტუნმა ახლა მინც მიახწიოს მიზანს—ახალი თეატრის შექმნას,—რაიც სამშობლოში ვერ შესძლო, შენიშნავს ერთი გაზეთი, ვინაიდან მოციქული სამშობლოში არვის შეუწყნარებიაო...

◆ **კადაქცია მიილო** ახალი წიგნები: 1) „თ. ჟორდანია. I ქართ. ენისათვის ბრძოლა 1882—1910 წ. II ვინ დაიცვა ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში. (ანტიკრიტიკა. პასუხად ბ. ი. ფანცხვასა და მის კამპ.) ქუთ. 1913 წ. 62 გვ. ფ. არ აწერია. 2) ი. კერესელიძის გამოცემანი: ა) „დიდებული მესხეთი“. ალ. ფრონელისა—192 გვ., მშვენიერ ქალაქზე დაბეჭდილი, ფ. 45 კ. ბ) აჭარის მთავარი ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი“, ა. აბესაძისა, 40 გვ. ფ. 10 კ.—ი, კერესელიძის გამომცემლობის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

**წერილი კადაქციის მიმართ.**

ბ-ნო რ-რო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული ჟურნალ „თ. და ც“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ მსახიობ იოსებ ივანიძეს, რომელიც ყოველთვის დანმარებას გვიწევს წარმოდგენების გამართვაში.

პატარძელის სცენის მოყვარეთა მონდობილებით  
**ალ. ბურთიკაშვილი**

**შეცდომის გასწორება:** 1) „შუქურ ვარსკვლავში“ „თ. და ც“. № 21 ზვე. მე-5 ე პწკარში დაბეჭდილია: „უფრო დამკნარსა იასა“, უნდა: **უფარო** დამკნარ იასა. „თ და ც“ № 22 10 გვ. მე-3-ე პწკარში: „ეკლის ტყესაო“, უნდა - ეკლის **ხანაო**. 11 გვ. მე-17 პწკარში, „კენესა და გასაკვირია“? უნდა: **და კანესა მასაკვირი**? 2) „ცხოვრებაში“—„თ და ც.“ № 25: კოწიას ნაცვლად **კონა** უნდა.

**ს. დადიანის** წერილი „ეროვნული საკითხი რუს. საზოგადოებაში“, რომელიც ამ ნომერში უნდა დაბეჭდილიყო, მოულოდნელ შემთხვევის გამო ჯერჯერობით ვერ იბეჭდება.